

შპს „დიჯიტალ სექიურიტის საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	10
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	11
2. მომზადების საფუძველი .....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	23
5. ძირითადი საშუალებები .....	24
6. არამატერიალური აქტივები .....	24
7. გადახდილი ავანსები.....	24
8. ფული და ფულის ეკვივალენტები .....	25
9. საწესდებო კაპიტალი.....	25
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....	25
11. ხელფასის ხარჯი .....	25
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	26
13. იჯარის ხარჯი .....	26
14. სხვა შემოსავალი .....	26
15. ფინანსური რისკი.....	26
16. პირობითი ვალდებულებები .....	28
17. დაკავშირებული მხარეები.....	28
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....	29
მმართველობითი ანგარიშგება .....	30



Moore Abc, LLC  
2 D. Gamrekeli Str.  
0160, Tbilisi, Georgia  
T +995 32 2 000 123  
E info@moore.ge  
www.moore-georgia.ge

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### შპს "დიჯიტალ სექიურითის საქართველოს"-ს დამფუძნებელსა და მენეჯმენტს

#### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "დიჯიტალ სექიურითის საქართველო"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### მნიშვნელოვან გარემოებათა ამ სახველი აზრები

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის შემოსავლის გენერირება ჯერ არ დაუწყია. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და მომავალ პერიოდში კლიენტების მოზიდვას. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

#### სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალუება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)**

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 20 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო



შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-25	31-დეკ-24
<b>აქტივები</b>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	5	10,071	-
არამატერიალური აქტივები	6	5,000	-
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>15,071</b>	<b>-</b>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
გადახდილი ავანსები	7	7,059	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	517,696	-
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>524,755</b>	<b>-</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>539,826</b>	<b>-</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	9	642,399	-
დაუფარავი ზარალი		(111,181)	-
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>531,218</b>	<b>-</b>
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	8,408	-
საგადასახადო ვალდებულება		200	-
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>8,608</b>	<b>-</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>539,826</b>	<b>-</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:




ნატო დავითაშვილი  
 დირექტორი  
 შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 თარიღი: 20 მარტი, 2026

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2025 წელი	05-ივნ-2024-დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2024 მდე
ხელფასის ხარჯი	11	(89,195)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(19,032)	-
ოჯარის ხარჯი	13	(12,285)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(477)	-
სხვა შემოსავალი	14	5,000	-
საპროცენტო შემოსავალი	8	4,808	-
<b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>		<b>(111,181)</b>	-
მოგების გადასახადი		-	-
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>		<b>(111,181)</b>	-

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:


  
 ნატო დავითაშვილი  
 დირექტორი  
 შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 თარიღი: 20 მარტი, 2026

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
პერიოდის ზარალი		(111,181)	-
ცვეთა	5	477	-
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</b>		<b>(110,704)</b>	<b>-</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	10	8,408	-
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		200	-
გადახდილი ავანსები (ზრდა)/შემცირება	7	(7,059)	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(109,155)</b>	<b>-</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების (ზრდა)/შემცირება	5	(10,548)	-
არამატერიალური აქტივების (ზრდა)/შემცირება	6	(5,000)	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(15,548)</b>	<b>-</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	9	642,399	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>642,399</b>	<b>-</b>
<b>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>		<b>517,696</b>	<b>-</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		-	-
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>		<b>517,696</b>	<b>-</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

  
 ნატო დავითაშვილი  
 დირექტორი  
 შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 თარიღი: 20 მარტი, 2026

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2024 წლის 05 ივნისის მდგომარეობით</b>	-	-	-
2024 წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	-
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,142,399	-	<b>1,142,399</b>
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(500,000)	-	<b>(500,000)</b>
2025 წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(111,181)	<b>(111,181)</b>
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>642,399</b>	<b>(111,181)</b>	<b>531,218</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ნატო დავითაშვილი  
 დირექტორი  
 შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 თარიღი: 20 მარტი, 2026

## 1. კომპანია და მისი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "დიჯიტალ სექიურითის საქართველო"-ს (ს/კ 404727426) (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას. შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“ დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2024 წლის 05 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩა, N1, (ყოფ. ავლევი), ბინა N3, შენობა N3.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის სს „ბროკერი საქართველო“ (ს/კ 404725222), რომლის დამფუძნებელი საკონტროლო წილით არის ფიზიკური პირი ნატიგ კამრანოვ, პ/ნ: FJY5GR, C03509904 (აზერბაიჯანი). ანგარიშგების გამოცემის მომენტში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის დირექტორი (ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი) არის ნატო დავითაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმართულება მოიცავს ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას. 2025 წლის 08 მაისს კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 8 მაისის N8 განკარგულებით მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია, შესაბამისად კომპანიას 2024 წელს ოპერაციები არ განუხორციელებია.

## 2. მომზადების საფუძველი

### 2.1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელთაც აქვთ გავლენა წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები კი წარმოდგენილია მე-3 შენიშვნის სახით. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### 2.1 ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და დაყოფილია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

### 2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია დაარსდა 2024 წლის 05 ივნისს. მისი ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვან სურათს არ იძლევა დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა კომპანიის მფლობელი პერიოდულად ახორციელებენ თანხების ინვესტირებას კომპანიაში და გეგმავს მის განვითარებას. გარდა ამისა, მენეჯმენტი გეგმავს მომხმარებლებს აქტიურად შესთავაზოს თავისი სერვისი. კომპანია გეგმავს საბროკერო კომპანიისთვის შესაბამისი რეგულაციით ნებადართული საქმიანობის განხორციელებას.

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის შემოსავლის გენერირება ჯერ არ დაუწყია. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და მომავალ პერიოდში კლიენტების მოზიდვას.

### 2.3 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### 2.3 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

### 3.1 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
თანხები მოცემულია ლარში

---

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.1 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

#### ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა”. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტულად. კომპანია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს კომპანიაზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

#### 3.2 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

**3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსი:

	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6951	2.8068
1 ევრო/ლარი	3.1737	2.9306

**3.4 ფინანსური ინსტრუმენტები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება.** კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

**ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება.** ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.4 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.4 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელის მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

**ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება.** ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.4 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

#### 3.6 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კონტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

#### 3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შემენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწვევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

**3.7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

<u>აქტივების ჯგუფი</u>	<u>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</u>
საოფისე აღჭურვილობა	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების, რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**3.8 არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც (ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბროკერო ლიცენზია, რომელიც უსასყიდლოდ არის მიღებული გარე მხარის მიერ. უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს გადაფასებული ღირებულებით, რომელიც არის სამართლიანი ღირებულება გადაფასების თარიღით, შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით.

წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად გადაფასების მიზნით, სამართლიანი ღირებულება უნდა განისაზღვროს აქტიური ბაზრიდან მიღებული ინფორმაციის საშუალებით. გადაფასებები უნდა ჩატარდეს რეგულარულად, ისე, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისი საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისაგან.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ლიცენზიის სამართლიანი ღირებულება შეადგენს 5,000 ლარს. თვითღირებულების მოდელით აღრიცხვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულება იქნებოდა ნული ლარი.

#### 3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შეედრება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შესაფასებელ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

#### 3.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.11 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულებების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია, ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

#### 3.12 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცემული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე;

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

#### 3.13 ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.14 შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შეფასებული; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შეფასებული; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიო სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის.

#### *ამონაგები საბროკერო საქმიანობიდან*

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

#### 3.15 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება უკავშირდება არამატერიალური აქტივის – უსასყიდლოდ მიღებული ლიცენზიის – აღიარებასა და შეფასებას. აღნიშნული აქტივი აღიარებულია კომპანიის მიერ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ვინაიდან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი პირდაპირ არ არეგულირებს მსგავსი ტიპის ოპერაციის აღრიცხვას. ლიცენზია საწყისი აღიარების მომენტში შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვანი პროფესიული განსჯის გამოყენებას, მათ შორის შეფასების მეთოდების შერჩევას, საბაზრო მონაცემების გამოყენებასა და შესაბამისი დაშვებების განსაზღვრას.

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**5. ძირითადი საშუალებები**

	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>			
ნაშთი 2024 წლის 05 ივნისის მდგომარეობით	-	-	-
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
შეძენა	6,618	3,930	10,548
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,618	3,930	10,548
<i>ცვეთა</i>			
ნაშთი 2024 წლის 05 ივნისის მდგომარეობით	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(379)	(98)	(477)
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(379)	(98)	(477)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,239	3,832	10,071

**6. არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს საბროკერო კომპანიის ლიცენზიას, რომლის საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,000 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი).

**7. გადახდილი ავანსები**

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფისათვის და იჯარის წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,000 ლარსა და 2,059 ლარს შესაბამისად (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი).

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**8. ფული და ფულის ეკვივალენტები**

	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
ფული ბანკში ლარში	17,696	-
ვადიანი დეპოზიტი რეზიდენტ ბანკში *	500,000	-
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>517,696</b>	<b>-</b>

\* ვადიანი დეპოზიტი რეზიდენტ ბანკში ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 500,000 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი). 2025 წლის 11 ნოემბერს კომპანიამ გახსნა ანაზარი რეზიდენტ ბანკში, რომლის დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 2025 წლის განმავლობაში შეადგენს 4,808 ლარს (2024 წელს: 0 ლარი).

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც FITCH-ის მიერ შეფასებულია, როგორც B- სა და B+ ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი), B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

**9. საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 642,399 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად საბროკერო კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 500,000 ლარის ოდენობით. კომპანიამ საბროკერო კომპანიის ლიცენზია მოიპოვა 2025 წლის 08 მაისს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აღნიშნულ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

**10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი წარმოადგენს კრედიტორულ დავალიანებას, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,408 ლარს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი).

**11. ხელფასის ხარჯი**

2025 წლის ხელფასის ხარჯი შეადგენს 89,195 ლარს (2024 წელი: 0 ლარი).

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

	31-დეკ-25	31-დეკ-24
პროფესიული მომსახურების ხარჯი	7,951	-
საკონსულტაციო ხარჯი	6,008	-
საპენსიო ხარჯი კომპანიის ნაწილი	1,790	-
კომუნიკაციის ხარჯები	1,397	-
კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხარჯი	1,228	-
სხვა ხარჯები	458	-
დაზღვევის ხარჯი	200	-
<b>სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>19,032</b>	<b>-</b>

**13. იჯარის ხარჯი**

2025 წლის იჯარის ხარჯი შეადგენს 12,285 ლარს (2024 წელი: 0 ლარი).

**14. სხვა შემოსავალი**

კომპანიის სხვა შემოსავალი წარმოადგენს ვალდებულების ჩამოწერის შედეგად მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2025 წელს შეადგენს 5,000 ლარს (2024 წელი: 0 ლარი).

**15. ფინანსური რისკი**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

**საკრედიტო რისკი.** ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

**15. ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

**სავალუტო რისკი.** უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

ფინანსური აქტივები 31-დეკ-25	ევრო	აშშ დოლარი	ლარი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	-	-	517,696	517,696
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>517,696</b>	<b>517,696</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	62	7,951	395	8,408
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>62</b>	<b>7,951</b>	<b>395</b>	<b>8,408</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>(62)</b>	<b>(7,951)</b>	<b>517,301</b>	<b>509,288</b>

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და ფულის ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესიო ვალდებულება.

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**15. ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივები 31-დეკ-25	1 წლამდე	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	517,696	517,696
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>517,696</b>	<b>517,696</b>

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,408	8,408
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>8,408</b>	<b>8,408</b>
<b>ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია</b>	<b>517,696</b>	<b>517,696</b>

**16. პირობითი ვალდებულებები**

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით არის ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

**17. დაკავშირებული მხარეები**

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2025 წელი	ხელფასის ხარჯი (ლარი)
უმაღლესი ხელმძღვანელობა	25,298

2024 და 2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიას არ აქვს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის  
თანხები მოცემულია ლარში

---

**18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

2026 წლის 29 იანვარსა, 30 იანვარსა და 27 თებერვალს კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 6,000 ლარის, 15,000 ლარისა და 11,100 ლარის ოდენობით შესაბამისად.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

\*\*\* დოკუმენტის დასასრული \*\*\*

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

# შპს დიჯიტალ სექიურიტის საქართველო

2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის  
მმართველობითი ანგარიში

## შინაარსი

1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა.....	3
1.1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ .....	3
1.2 ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები .....	3
1.3 კომპანიის განვითარების გეგმა .....	4
1.4 ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ.....	5
1.5 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები .....	5
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება .....	5
2.1 მმართველობითი ორგანოები .....	5
2.2 საკუთარი კაპიტალისა და აქციების შესახებ ინფორმაცია.....	6
2.3 შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა .....	6
2.4 კომპანიის ფინანსური რისკები და მათი მართვა (ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს).....	7

## 1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა

### 1.1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „დიჯიტალ სექიურითის საქართველო“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2024 წლის 5 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე პრეზიდენტის 2025 წლის 8 მაისის N 8 განკარგულებით მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.

შესაბამისად კომპანიას 2024 წელს ოპერაციები არ ჰქონია.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება. კომპანიას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის შემოსავლის გენერირება ჯერ არ დაუწყია. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და მომავალ პერიოდში კლიენტების მოზიდვას.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის სს „ბროკერი საქართველო“ (ს/კ 404725222), რომლის დამფუძნებელი საკონტროლო წილით არის ფიზიკური პირი ნატივ კამრანოვ, პ/ნ: FJY5GR, C03509904 (აზერბაიჯანი). ანგარიშგების გამოცემის მომენტში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის დირექტორი (ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი) არის ნატო დავითაშვილი.

კომპანიის დამფუძნებელი:

აქციონერის სახელი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სს „ბროკერი საქართველო“, 404725222	100%	100%

### 1.2 ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიას 2025 წელს საოპერაციო შემოსავლები/ხარჯები არ ჰქონია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს მხოლოდ არასაოპერაციო მაჩვენებლებს.

კომპანიის მფლობელი პერიოდულად ახორციელებენ თანხების ინვესტირებას კომპანიაში და გეგმავს მის განვითარებას. გარდა ამისა, მენეჯმენტი გეგმავს მომხმარებლებს აქტიურად შესთავაზოს თავისი სერვისი. კომპანია გეგმავს საბროკერო კომპანიისთვის შესაბამისი რეგულაციით ნებადართული საქმიანობის განხორციელებას.

### 1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 1.2 ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის შემოსავლის გენერირება ჯერ არ დაუწყია. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და მომავალ პერიოდში კლიენტების მოზიდვას.

2025 წელს მოხდა კაპიტალის შევსება ეტაპობრივად კომპანიის დამფუძნებლის მიერ, რომელიც ჯამურად შეადგენს 642,399 ლარს.

*ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოადგენს შემდეგს*

	31.12.2025	31.12.2024
სულ აქტივები	539,826	-
სულ ვალდებულებები	8,608	-
სულ კაპიტალი	531,218	-

	2025	2024
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(111,181)	-

კომპანიაში 2025 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 3 თანამშრომელი, რომელზეც გაიცა ხელფასი 89,195 ლარის ოდენობით (2024 წელს ხელფასის ხარჯი: 0 ლარი).

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად მოიცავს პროფესიული მომსახურების ხარჯს, საკონსულტაციო ხარჯს, კომუნიკაციისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხარჯს და სხვა.

#### 1.3 კომპანიის განვითარების გეგმა

კომპანიას გაწერილი აქვს მომდევნო წლის ფინანსური და სტრატეგიული მიზნები, რაც გულისხმობს კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლების შესრულებას, ბაზრის წილის ზრდას საბროკერო მიმართულებებით, პროდუქტების დამატებას და ა.შ.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად, მოსალოდნელია რომ 2026-ში ძლიერი მაკროეკონომიკული პარამეტრები შენარჩუნდეს, შესაბამისად კომპანია გეგმავს, რომ დაიწყოს საოპერაციო საქმიანობა და გაზარდოს შემოსავლები საბროკერო ბაზრის მიმართულებებით.

## **1. საწარმოს საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **1.3 კომპანიის განვითარების გეგმა (გაგრძელება)**

ამასთანავე კომპანია აქტიურად მუშაობს, რომ განავითაროს და გააუმჯობესოს არსებული სავაჭრო პლატფორმა. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და მომავალ პერიოდში კლიენტების მოზიდვას.

### **1.4 ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ**

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

### **1.5 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები**

კომპანიას არ განუხლოვრციელებია კვლევებისა და განვითარების სფეროში ღონისძიებები.

## **2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება**

### **2.1 მმართველობითი ორგანოები**

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო საერთო კრებაა (შემდგომში „საერთო კრება“). კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით.

საერთო კრების უფლებამოსილებები და გადაწყვეტილებისუნარიანობა გაწერილია კომპანიის წესდებაში, წესდების დამტკიცება/ცვლილებაც საერთო კრების გადაწყვეტილებით ხდება.

პარტნიორს უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ პარტნიორის მოთხოვნა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ან შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. საერთო კრება ირჩევს ასევე საერთო კრების თავმჯდომარეს.

კომპანიის დირექტორი აწარმოებს და ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს საერთო კრებას, აცნობებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს.

დირექტორის მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია აქციონერების მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

## **2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)**

### **2.1 მმართველობითი ორგანოები (გაგრძელება)**

დირექტორი ვალდებულია კომპანიის საქმეებს გაუძღვეს მართლწომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა ჩვეულებრივ, სადად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება კომპანიისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

კომპანია მხარს უჭერს ქვეყნის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს მშობელი კომპანიის ქვეყნის, კორპორაციული მართვის და ეთიკის კოდექსს. ამრიგად, კომპანია მზად არის იმოქმედოს სამართლიანად მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან და შექმნას და წახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო.

### **2.2 საკუთარი კაპიტალისა და აქციების შესახებ ინფორმაცია**

კომპანიის ერთადერთმა დამფუძნებელმა- სს „ბროკერი საქართველომ“ 2025 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში შემდეგი ოდენობის თანხა შეიტანა:

- 6 მაისი - 500,000 ლარი
- 24 ივნისი - 27,618 ლარი
- 3 სექტემბერი - 18,231 ლარი
- 6 ოქტომბერი - 13,585 ლარი
- 4 ნოემბერი - 20,525 ლარი
- 8 დეკემბერი - 19,840 ლარი
- 12 დეკემბერი - 13,500 ლარი
- 17 დეკემბერი - 29,100 ლარი

### **2.3 შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა**

დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვასა და შიდა კონტროლებზე. კომპანია მუდამ ისწრაფვის შეიმუშავოს საიმედო და ეფექტური რისკის მართვის სტრატეგია და პროცესები.

*კომპანიის შიდა კონტროლის ძირითადი მიზნებია:*

- ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და სანდოობა
- აქტივების დაცვა (თაღლითობისა და არასწორი გამოყენების პრევენცია)
- ოპერაციული ეფექტიანობა
- კანონმდებლობასა და შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობა

## **2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)**

### **2.3 შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა (გაგრძელება)**

ხელმძღვანელობა მართავს რისკებს და კონტროლების მექანიზმებს, შეიმუშავებს პოლიტიკების, პროცედურების და მონიტორინგის პროცესებს, რომელიც გამოყენებულია ყოველდღიური ოპერაციების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს იმ რისკების პრევენციას და შემცირებას, რომლებიც შესაძლოა მომავალში უარყოფითად აისახოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

### **2.4 კომპანიის ფინანსური რისკები და მათი მართვა (ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს)**

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან, რომლებიც შეიძლება უარყოფითად აისახოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფულადი ნაკადებზე და ფინანსურ შედეგებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს აღნიშნული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და მართვას შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მეშვეობით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

**საკრედიტო რისკი:** აღბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის. ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

**სავალუტო რისკი:** უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

**ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით. ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუუნარობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და ფულის ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა ვალდებულება.

## 2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

### 2.4 კომპანიის ფინანსური რისკები და მათი მართვა (ძირითად რისკებსა და გაურკვევლობებს) (გაგრძელება)

**საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალურ ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:

- *საპროცენტო რისკი*
- *სავალუტო რისკი*
- *ფასიანი ქაღალდების რისკი*

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ხელმძღვანელობის სახელით



ნატო დავითაშვილი

დირექტორი

20 მარტი, 2026